

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი

თბილისი

21 პრილი, 2008 წ.

სხდომის ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. ვ. საყვარელიძე, პროფ. კ. ყურაშვილი, პროფ. ლ. ეჯიბაძე, პროფ. ვ. გერიძე, პროფ. ნ. ბასილაძე, ასოც. პროფ. თ. ალფაიძე, ასოც. პროფ. ა. არუთინოვა, ასისტ. პროფ. გ. თუმანიშვილი, ასისტ. პროფ. ა. აბაიაძე, უფრ. მასწ. გ. ქირია

სხდომის თავჯდომარე:

პროფ. ვ. საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

პროფ. კ. ყურაშვილი

დღის წესრიგი:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის პროექტის განხილვა(მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი, უფრ. მასწ. გ. ქირია).

მოისმინეს: პროფ. კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ სამართლის ფაკულტეტის უფროსმა მასწავლებელმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ბატონ გია ქირიამ შეიმუშავა კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის პროექტი. მომხსენებელმა ბატონ. გ. ქირიას სთხოვა დეტალურად გაანეხილა აღნიშნული პროგრამის შინარსი და მისი სამომავლო პერსპექტივა.

გ. ქირიამ აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 სასწავლო კრედიტს, თეორიული და პრაქტიკული კურსების გათვალისწინებით. მან ასევე, განიხილა პროგრამით წარმოდგენილი ყველა სასწავლო დისციპლინის გავლის აუცილებლობის შესახებ შესაბამისი კრედიტებით.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. ვ. გერიძემ, რომელმაც მახარი არ დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და მოითხოვა თეორიულ ნაწილში (კრედიტების თაობაზე) გარკეული ცვლილებების შეტანა. პროფ. კახი ყურაშვილმა წინადადება დააყენა, გადამუშავდეს პროგრამა და თავდაპირველად წარედგინოს განსახილველად ფაკულტეტის საბჭოს და მხოლოდ მისი მოწონების შემთხვევაში გამოვიდეს აკადემიურ საბჭოზე.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიეთითოს ბატონ გია ქირიას გაითვალისწინოს სხდომის წევრთა შენიშვნები და უახლოეს მომავალში გადამუშავებული სახით იქნას წარმოდგენილი აკადემიურ საბჭოზე განმეორებითი განხილვისათვის სამაგისტრო პროგრამა, ფაკულტეტის საბჭოს ვიზუალური სახით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ვ. საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

კ. ყურაშვილი

